ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2545601

ნომერი: AR1394015

თარიღი : 11.04.2016

გაცემის თარიღი : 18.04.2016

გაცნობის თარიღი : 18.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბელიაშვილი , შპს,,ჯუმბერ ბერაძე და კომპანია"-ს ობიექტის მიმდებარედ(ნაკვეთი 08/068)/ ქალაქი თბილისი , მტკვრის მარჯვენა სანაპიროს და ბელიაშვილის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალგული ასათიანი პ/ნ 01025001551
- თბილისი დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 9 ბ. 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

საჭიროა წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა სარეკონსტრუქციო არეალის დატანით, ასევე გაითვალისწინეთ ვინაოდან ობიექტი მდებარეობს რომ ვინაიდან საპროექტო ობიექტი მდებარეობს ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტიკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით და თქვენს მიერ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით ირკვევა, რომ საპროექტო კარის ღიბის მოწყობა განხორციელებული ლურჯი ფერით (დანაწევრებული სახით) ,რისი გამოყენებაც საპროექტო ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ამ ადგილისათვის სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია და აუცილებლად მიიჩნევს, რომ როგორც კარის ღიობი, მასალად გამოყენებული უნდა იქნას კარგი ხარისხის მასალა და შერჩეულ იქნას არსებული ფანჯრისი ღიობის ფერი (შესაძლებელია დამკვეთის მიერ შემოთავაზებული იქნას სხვა ალტერნატიული მასალა), ფოტომონტაჟზე დამატებით მითითებულ იქნას სარეკონსტრუქციო ღიობის მასალა.

გაითვალისწინეთ, სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზის/ების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.